ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად



განხორციელების ვადა: 11.01.2020 - 10.01.2025

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 3 900 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 6 500 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
The United Nations Office for Project Services (UNOPS)

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/unops.org/?ref=br_rs

პროექტის ვებსაიტები: unops.org/

პროექტის აღწერა:

პროექტი წარმოადგენს „ევროკავშირის უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის” (SAFE) პროგრამის ნაწილს. კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის ჩამოყალიბებით იგი ხელს უწყობს საქართველოს მოსახლეობის უფრო მერ უსაფრთხოებას.

პროექტი განსაზღვრავს სპეციფიკურ საჭიროებებს და შეიძენს თანამედროვე ტექნოლოგიას, რაც აუცილებელია უსაფრთხოების სექტორის განსაზღვრული აქტორების ინსტიტუციური და ოპერაციული შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

იგი ასევე აძლიერებს სამართალდამცავი ორგანოების და კატასტროფებზე რეაგირებისა და ზედამხედველობის ინსტიტუტების ინსტიტუციური და ოპერატიული შესაძლებლობების გაძლიერება, მაღალი ტექნოლოგიური აღჭურვილობის, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურის მიწოდებით.

მოსალოდნელი შედეგები:

- დაინტერესებული მხარეებისთვის ტექნიკური უზრუნველყოფისა და აღჭურვილობის მიწოდების შედეგად, პასუხისმგებელი სამთავრობო ორგანოები უკეთესად იქნებიან მომზადებული დანაშაულის და ძალადობის პრევენციისთვის, სისხლის სამართლის დანაშაულების გამოძიებისა და ბრძოლის, კიბერ-შეტევებზე უკეთ რეაგირებისთვის, ასევე რეაგირებისთვის კატასტროფებსა და საგანგებო სიტუაციებზე.
- მიწოდებული ტექნიკური აღჭურვილობა ხელს შეუწყობს კარგი მმართველობის მიზნებს, მოვალეობის შემსრულებლის პასუხისმგებლობის ზრდის გზით და, შესაბამისად, გაზრდის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმირებას საქართველოს მოქალაქეების წინაშე მათ ვალდებულებებზე, რაც იქნება მთავარი პროგრამის ძირითადი შედეგი.